ხაშურის მოამბე

№22 (304) 19 ივლისი, ორშაბათი, 2021 წელი

ამერიკის ელჩი - ხაშურში

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში - კელი დეგნანი სტუმრობდა. ელჩი შეხვდა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს ზვიად ქურდაძეს. შეხვედრის შემდეგ, ამერიკის ელჩი, თანმხლებ პირებთან ერთად,ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ესტუმრა, სადაც, ამერიკულ კუთხეში, მათ დახვედრა მოუწყეს. ოფიცილური სტუმრები ინტერესით

გაეცნენ ამერიკული კუთხის საქმიანობას. მოისმინეს იმ პროექტების შესახებ, რომელიც ამ კუთხის და საბიბლიოთეკო გაერთიანების ძალისხმევით განხორციელდა. ელჩი დაესწრო ACCE-ის ფარგლებში, ინგლისური ენის მასწავლებლების ტრენინგსაც.

- სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ამერიკის კუთხე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუნიციპალიტეტის კულტურულ თუ სოციალურ რეალობაში. ამიტომაც შევეცდებით, რომ მისი აქტივობა უფრო გაფართოვდეს, რომ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამერიკელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის გაღრმავების საქმეში, - განაცხადა კელი დეგნანმა.

ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროქტის ფარგლებში შიდა ქართლის საპილოტე, ატენისა და ფლევის თემების განვითარების გეგმის ფარგლებში ჩამოყალიბდა ქალთა ჯგუფები, რომელთა მიზანია ადგილობრივი თემის განვითარების პროცესში სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ქალის ჩართულობა საკუთარ უფლებებზე და სხვა იმ საკითხებზე ცოდნის ამაღლებით, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და კეთილდღეობას განსაზღვრავს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ინიცირებით, პროცესში ხაშურის მუნიციპალიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოებიც ჩაერთნენ, რამდენადაც საბჭოები ადგილობრივ დონეზე წარმოადგენენ მნიშვნელოვან რგოლს ადგილობრივ დონეზე ქალთა ჯგუფებთან და ზოგადად მოსახლეობასთან კოორდინაციის და საკუთარ უფლებებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ამ მიზნით სოფელ ტკოცაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ფლევის თემში და გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში მცხოვრები ქალებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი. ტრენინგს ესწრებოდნენ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი ვერიკო ბიწაძე და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელი სალომე ქინქლაძე.

ტრენინგზე იმსჯელეს გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ საკანონმდებლო მექანიზმებზე, ქალის მიმართ ძალადობის პრევენციის, ქალის, ადამიანის უფლებების შესახებ და ა.შ. გაიმართა საინტერესო დისკუსია.

ტრენინგი ტკოცის საჯარო სკოლაში ჩატარდა.

ვაყაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ამ ეტაპზე ხორციელდება გზის მოსწორება, რის შემდეგაც გათვალისწინებულია გზის მოასფალტებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.

„ ვაყა მჭიდროდ დასახლებული სოფელია, შესაბამისად, შიდა გზების მოწესრიგება აქაური მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია. პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვაფინანსებთ, რისთვისაც 349 000 ლარი გამოვყავით.“ აღნიშნა ადგილზე სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ.

სოფელ ვაყაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი ორ თვეში დასრულდება, რის შემდეგაც 2000-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე და სტუმარი რეაბილიტირებული გზით ისარგებლებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის № 21 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 17 476.2 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 3 424.2 ათასი ლარი. (ადგილობრივი -71 023, დელეგირებული -2 867 188, მთვარობა 485 991).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 24 716.7 ათასი ლარით, რაც 7 240.5 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 14 815.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 132,36%, ხოლო წლიური გეგმის 66,18%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას, ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა - 101,97% (7 930.4ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი - 92,76%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი -186,12%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 18,18% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი -56,24% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 18,43%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 113,2%-ით (847.9 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 76,5%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 93,6%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 71,4 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 128,78%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 44%, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან - 70%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 293%-ით.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 15.65%-ს (2 319.928 ათას ლარს), „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225.0 ათასი ლარი, მიღებულია – 112.800 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 030.350 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (ნაბახტევი, სავანისუბანი, ქინძათი, დუმაცხოვი, რუსაანთუბანი და მონასტერი, გზების მოასფალტების და ბეტონის საფარის მოწყობა).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 10 500.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 64%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, სამი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 71% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 21.20%), თავდაცვა - 92% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 1,05%), ეკონომიკური საქმიანობა - 47% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 2,93%), გარემოს დაცვა - 81% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 10,97%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 60% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 9,34 %), ჯანმრთელობის დაცვა - 89% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,89%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 70% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 21.83%), განათლება - 746% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 19.97%), სოციალური დაცვა - 82% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში - 11.78%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 86%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -68%-ით, სუბსიდიები - 80%-ით, გრანტები -46%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 89%-ით, სხვა ხარჯები - 38%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა -57%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №21 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია შემდეგი ღონისძიება;

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 ივნისის ბრძანებით - ხაშურის რაიონის სოფელ კლდისწყაროში მცხოვრები მარტოხელა მშობელის ფიქრია გელაშვილისათვის დახმარების გაწევის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. (თანხა 500 ლარი).

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აიპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2020-21 წლის კოვიდ -19-ის ანგარიში.

.

პირველი მონიტორინგი განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოფუნქციონირე ჩინურ სამშენებლო კომპანიებში. კერძოდ: 1.ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბრიგადა; 2. ჩინეთის სახელმწიფი საინჟინრო-სამშენებლო კომპანია; 3.კომპანია „სინო-ჰიდრო". ჩატარდა მონიტორინგი 28-29-31 იანვარს,

12 აპრილს სოფ. ხიდისყურში დაფიქსირდა კორონა ვირუსის შემთხვევა (თბილისიდან აგარაკზე ჩამოსული პირი). მოხდა სოფლის ბლოკირება ჩატარდა ეპიდკვლევა, გამოძახებული იქნა გორის რეგიონალური ლაბორატორია, საეჭვო კონტაქტებზე აღებული იქნა ნაცხი და ისინი გადაყვანილი იქნა გორის სამხედრო ჰოსპიტალში., მათგან ერთს დაუდასტურდა კორონა ვირუსი, 12-ში ჩატარდა მთელი უბნის თერმოსკრინინგი. სოფელი გამოცხადდა საკარანტონო ზონად; 14-25 აპრილის პერიოდში ჩვენი ცენტრის მიერ მიმდინარეობდა ყოველდღიური თერმოსკრინინგი და მონიტორინგი (84--პირზე). პათოლოგიის ნიშნები არ გამოვლენილა.

აპრილის თვიდან დაიწყო მიზნობრივი ჯგუფების „ ჩდ"-ტესტირება.(ტესტირება ჩაუტარდათ სასწრაფო დახმარების, ასევე კლინიკების მიმღებისა და რეანიმაციული განყოფილების მედპერსონალს, სოფლის ამბულატორიების პერსონალს , დიალიზის ბენეფიციარებს ,ფსიქიატრიულის მედ პერსონალს. შიდა საზ. ტრანსპორტის მძღოლებს,შსს განყოფილებების თანამშრომლებს, პედაგოგებს, ბაღის თანამშრომლებს, სტომატოლოგებს, რელიგიის მსახურებს და სხვა რისკ ჯგუფებს.

ვაქცინაცია დაიწყო 2021წ 15 მარტს ასტრა ზენეკას ვაქცინით

1 ივლისის მონაცემები:

ასტრაზენეკა	980	742(528+214)
სინოფარმი	457	437(233+204)
სინოვაკი	379	295(182+113)
		ორი დოზით
სულ	1494	541

	2020 წ	2021 წ	ჯამი
სულ ინფიცირებული-		1475	**2973**
ეპიდკვლევა-	1498	1475	**2973**
ბინაზე მკურნალობდა	1344	1181	**2532**
სტაციონარში	150	291	**441**
გარდაიცვალა	29	20	**49**
ჩაუტარდა ტესტირება	4692(3312)	18751 (3140)	**23443(6452)**
დადებითი დაფიქსირდა	813	1157	**1970**
გამოჯანმრთელდა	1445	1383	**2828**

– ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია –

1944 წელი. სამამულო ომი დასასრულს უახლოვდება. რა ხდებოდა მაშინ რაიონში იმ წელს? ადგილობრივი გაზეთიდან ამოღებული ეს პატარა სტატიები, რა თქმა უნდა, სრულფასოვან სურათს ვერა, თუმცა, გარკვეულ წარმოდგენას მაინც შექმნის იმ წლებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ჯილდოს საპასუხოდ

ხაშურის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის მიერ საქართველოს კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. კოლმეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში იმართება სახელდახელო მიტინგები, მშრომელთა კრებები, სადაც ახალ ვალდებულებებს იღებენ დაჯილდოებულნი და დაჯილდოებულთა ამხანაგები, კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები.

დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა კოლმეურნეთა კრებები ქვიშხეთის, ალის, დიდი ღუდის, ზემო ოსიაურის კოლმეურნეობებში, რომელთა თავმჯდომარეებიც დაჯილდოებული არიან.

ქვიშხეთელმა კოლმეურნეებმა კრებაზე აღნიშნეს: მთავრობამ დააჯილდოვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პ. ღონღაძე და ბრიგადირი ამხ. ქველაძე, მაგრამ ეს ჩვენ მიგვაჩნია მთელი კოლმეურნეობის დაჯილდოებადაც და პირობას ვიძლევით, რომ 1944 წელს ერთიათად მეტ წარმატებას მოვიპოვებთ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა შესრულების საქმეში.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შორის ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ქვიშხეთის კოლმეურნეობა „ახალი შრომა“ ეჯიბრება ალის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა მედლით „ შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებული ამხ. დ. გვარამაძე.

ახალ სასახელო ვალდებულებებს იღებენ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული ამხ. კ. მოსიაშვილი და მისი ტრაქტორისტი ამხანაგები; მედალოსნები - ბ. მაისაშვილი, პ. კუბლაშვილი და ი. აგლაძე პირობას იძლევიან უზრუნველჰყონ კიდევ უფრო წარმატებითი მუშაობა იმ უბნებზე, რომელთაც ისინი ხელმძღვანელობენ.

მთავრობა ორდენებითა და მედლებით აჯილდოებს ზურგის გმირებს. იმათ დაჯილდოებას, ვინც თავი გამოიჩინა, მთელი საბჭოთა ხალხი იღებს როგორც მძლავრ მოწოდებას ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლებსა და შრომაში.

გმირის თანამებრძოლი

მთიდან მოულოდნელად დაეშვა ლურსმანაშვილის მებრძოლთა ერთი ჯგუფი. სოფლის განაპირამდე მარჯვედ გადასერეს მათ პატარა მთების კალთები და სოფელს მარჯვნიდან მიადგნენ.

გერმანელები მთელ ძალ-ღონეს ხმარობდნენ ამ სოფლის შენაჩუნებისათვის. იყო ცხარე ბრძოლის დღეები, როცა სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. ახლა ჰიტლერელებზე ლეგენდარულმა მონადირემ ლურსმანაშვილმა რამდენიმე ჯგუფად დაჰყო თავისი მებრძოლები და სარდლობისაგან მიღებულ საბრძოლო ამოცანის შესრულებას შეუდგა.

მეწინავე ჯგუფს თვითონ გაჰყვა იგი. ლურსმანაშვილი გაგანიერებული თვალებით, უაღრესად განვითარებული სმენით და სუნთქვითაც კი, ყოველ ბუჩქში, ყოველ ხის ძირში - საზიზღარ მტერს ეძებდა.

გათენებისას თითქოს აქ არაფერიაო, ლურსმანაშვილი შუაგულ სოფელში შეიჭრა. მოხერხებულ გზაჯვარედინზე განალაგა თავისი მებრძოლები და განუწყვეტელი ცეცხლი გახსნა ავტომატებიდან და შაშხანებიდან.

მტერი შედრკა, პანიკურად უკან დახევა იწყო. მოტოციკლეტისტებმა ცოცხალი ძალის მოსაყვანად მოჰქუსლეს. მაგრამ ამაოდ, წითელარმიელმა ქელეხსაშვილმა ერთი მოტოციკლეტისტიც არ გაუშვა ცოცხალი. ისინი ქელეხსაშვილის სნაიპერული შაშხანით გულგანგმირულნი ზედიზედ იჩეხებოდნენ ხრამში.

– არ შეშინდეთ, ბიჭებო! - გადასძახა გმირმა თავის თანამებრძოლებს და მეთაურის მიერ აღფრთოვანებული მებრძოლები კბილებით დასაგლეჯად მიიწევდნენ სისხლისმსმელებისაკენ.

ქელეხსაშვილს მანქანის ხმა მოესმა. უცბად მოიხედა უკან და მან გერმანელებით დატვირთული ორი მანქანა შენიშნა, რომლებიც დიდ დამხმარე ძალას წარმოადგენდა სოფელში მყოფ ჰიტლერელებისათვის. უნარიანმა მებრძოლმა სტყორცნა ხელყუმბარების რამდენიმე კონა და საპნის ბუშტივით გააქრო მტრის ორი მანქანა, ზედ მსხდომი გერმანელებით. - ყოჩაღ, ქელეხსაშვილო! - მიირბინა ლურსმანაშვილმა თავის თანამებრძოლებთან და სიხარულით გადაეხვია მას.

სოფლისათვის ბრძოლა დაბინდებისას დამთავრდა. ჰიტლერელი არამზადების გვამებით მოიფარა სოფლის მიდამო.

გერმანელები ბევრჯერ ეცადნენ სოფლის დაბრუნებას, მაგრამ გვიანღა იყო. ჩვენი ნაწილები გამაგრდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოფელში.

ყოფილმა კოლმეურნე ქელეხსაშვილმა, ამ სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისი სნაიპერული შაშხანით 17 გერმანელ არამზადას მოუსპო სიცოცხლე და ჰიტლერელებით დატვირთული ორი მანქანა და ხუთი მოტოციკლეტისტი გაანადგურა.

ამ საბრძოლო დამსახურებისათვის წითელარმიელი ვლადიმერ სარდიონის-ძე ქელეხსაშვილი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

ამხ. ქელეხსაშვილი ახლა უფროსი სერჟანტია. იგი დაიბადა 1920 წელს სოფ. მიწობში. (ხაშურის რაიონი), საკ.კ.პ.(ბ) რიგებში ამხ. ქელეხსაშვილი ფრონტზე მიიღეს. ნ. კაკუშაძე

ბრილშიც უნდა ისწავლონ

ალის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მზრუნველობით ეკიდებიან წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებს. აქ თვითეულ ოჯახს სხვა სახის დახმარების გაწევასთან ერთად, მისცეს 4 - 4 ურემი შეშაც.

სულ სხვანაირად მოიქცნენ ბრილის კოლმეურნეობაში. აქ ერთი წითელარმიელის ოჯახს 15 ურემი შეშა მოუტანეს, მაგრამ დანარჩენ ოჯახებს ერთი ურემიც არ არგუნეს.

წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებზე გონივრული მზრუნველობა ბრილის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამაც უნდა ისწავლოს.

კ. ნოზაძე

ყურადღებას არ აქცევს

დიდძალი ახალგაზრდობაა ბულბულისციხეში. ამ სოფლის საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციაც არაა მცირერიცხოვანი, მაგრამ მდივანი ამხ. გოგოლაძე სუსტად ხელმძღვანელობს მას, ახალგაზრდათა შორის მასობრივ-აღმზრდელობით მუშაობას ყურადღებას არ აქცევს. ამის გამო სუსტია კომკავშირული დისციპლინა. უფრო მეტი. კომკავშირელი ეკატერინე ხაჩიძე კოლმეურნეობის ქათმების მოპარვაზე წაისწრეს და პასუხისგებაში მისცეს. ეს იცის ამხ. გოგოლაძემაც, მაგრამ არ ფიქრობს საკითხი კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე განიხილოს.

ვ. მჭედლიშვილი

ცრუ კოლმეურნეები

სურამის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ხვნა-თესვა დროულად დაამთავრა და არც ნათესების დამუშავებაში ჩამორჩენილა. ნინა არაქელოვის, დავით ყეინაშვილის, ვასილ კევლიშვილის და მრავალი სხვის კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომით უზრუნველყოფილი იქნება ნათესების მოვლა-პატრონობა შემდგომშიაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ კოლმეურნეობის ყველა კოლმეურნე როდია მონდომებული, ნამდვილი კოლმეურნე. მათში გარეულია რამდენიმე ისეთიც, რომელიც კოლმეურნეობაში შრომას გაურბის, კოლმეურნის უფლებებს კი ებღაუჭება. ასეთ ცრუ კოლმეურნეებად აქ სამართლიანად სთვლიან თამარა კიკნაძეს, ელენე, დარიკო ფატარიძეებს და სხვებს.

უარესი მდგომარეობაა იტრიის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 21 მაისამდე გააჭიანურეს სიმინდის თესვა. სავსებით მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია. სამუშაოზე გვიან გადიან - ადრე ბრუნდებიან კოლმეურნეები. ვენახი მოუვლელია. 2500 სარი სჭირდებათ და დღემდე არ დაუმზადებიათ. ვენახის ნასხლავი კლერტები ერთ ნაკვეთში იქვე მიატოვეს, ამასთან ვენახსაც, შაქრის ჭარხლის და სიმინდის ნათესებსაც ცხენები ანადგურებენ.

ანანო, ნინა ხაჩიძეები, შუშანა, ბაბუცა ულუმბელაშვილები, ჟენია ფოფხაძე, ანეტა ქურდაძე, ლიზა ლომსაძე და ზოგი სხვა ჯიუტობენ, კოლმეურნეობაში სამუშაოდ არ გამოდიან. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. ნოზაძემ ვერ უზრუნველჰყო მათს მიმართ სათანადო ზომების მიღება.

ცრუ კოლმეურნეებს უნდა ავყაროთ კოლმეურნის უფლებები.

შ. ციცქიშვილი, მ. გოგვაძე

ხაშურის რაიონის მშრომელები მიესალმებიან ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოებას

რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ი.ბ. სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ. წარმოება - დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შესდგა სახელდახელო შეკრებები, სადაც, გაეცნენ რა ბრძანებულებას, მშრომელებმა ახალი დამატებითი ვალდებულებანი აიღეს/

დიდი ღუდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ისაკ ზაზიკაშვილმა განაცხადა: წითელი არმია შეუჩერებლად მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ. შორს არ არის მტერზედ ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღე. ჩვენ ვიმუშავებთ დაუღალავად, მთელ ძალღონეს მოვახმართ ფრონტისადმი დახმარების საქმეს. 77 ჰექტარიდან თავთავიანი კულტურები უკვე ავიღეთ 65 ჰექტარზე. 50 ჰექტარი დაზვინულია, ხოლო 15 ჰექტარი გალეწილი. თავთავიანი კულტურების აღებას დავამთავრებთ ორი დღით ადრე, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით და პირველ რიგში მოვიხდით სახელმწიფო ვალდებულებას.

ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის“ თავმჯდომარემ ამხ. არტემ ტუსიაშვილმა სთქვა: მარშალ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გმირმა წითელმა არმიამ უდიდესი დამარცხება აგემა გერმანიის არმიას და ძირფესვიანად, ჩვენ სასარგებლოდ შესცვალა მდგომარეობა სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენ მივესალმებით ჩვენ საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს და პირობას ვაძლევთ, რომ არ დავიშურებთ საკუთარ სიცოცხლესაც კი ჩვენი სამშობლოსათვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოვაახლოვოთ ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღე.

გაცხოველებით ვაწარმოებთ მოსავლის აღებას. თავთავიანი კულტურები 226 ჰექტარზე მთლიანად მომკილია, აქედან 95 ჰექტარი კომბაინით, დანარჩენი კი ხელით ავიღეთ. 161 ჰექტარი გალეწილია, დანარჩენის ლეწვა მიმდინარეობს. დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით, ნამკალი დაზვინულია. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმას შევასრულებთ ვადაზე ადრე, უდანაკარგოდ ავიღებთ სხვა კულტურების მოსავალსაც.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

1891 წლის 17 თებერვალს გამგეობამ განიხილა სურამელი ვაჭრის მიხეილ შურღაიას თხოვნა მისთვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ქართული წიგნების გაგზავნის შესახებ. მას რეკომენდაციას უწევდა ცნობილი ხალხოსანი და პედაგოგი მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გამგეობაში მ. ყიფიანის წერილობითი რეკომენდაციის წარდგენის შემდეგ, მ. შურღაიას „გაეგზავნოს წიგნები და რვეულები ათას თუმნამდე.”

80-90 წლებში ხაშურის რაიონის ინტელიგენცია აქტიურად ეხმარებოდა საზოგადოებას ფინანსურ–მატერიალური მდგომარეობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებაში. ისინი მართავდნენ კონცერტებს, საღამო-წარმოდგენებს და სხვა ღონისძიებებს და აქედან მიღებულ შემოსავალს უგზავნიდნენ გამგეობას.

ერთ-ერთი ასეთი პირველი ღონისძიება თეატრალური წარმოდგენა ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილის, ნინო ერისთავისა და ზემო ჭალის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლის ალ. ნათაძის თაოსნობით გაიმართა 1884 წლის 12 აგვისტოს სურამში. გაზეთი „დროება” ამის თაობაზე 17 აგვისტოს წერდა: „ასეთი ლაზათიანი და მრავალფეროვანი წარმოდგენა თბილისსაც ძვირად ეღირება ხოლმე. მონაწილე პირნი შიშობდნენ, ვაითუ საზოგადოება ნაკლებად დაესწროს და ცდამ ტყუილად ჩაგვიაროსო, ამიტომაც რამდენჯერმე გადასდეს დანიშნული ვადა, მაგრამ მეტად საამურად მოსტყუვდნენ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ გორიდგან ბევრნი მოვიდნენ კვირას საღამოს წარმოდგენაზე დასასწრებლად. სურამლებმაც სრული თანაგრძნობა აღმოუჩინეს, ვეებერთელა დარბაზი სრულად გაავსეს და არამც თუ პირველ საათამდის გულს მოდგინედ ისხდნენ და სტკბებოდნენ, პირველ საათზედ აღარ აპირებდნენ წასვლას, წარმოდგენის გათავების შემდეგაც არხეინად ისხდნენ და კვლავ ელოდნენ დასატკბობ სანახავებს და გასაგონებსა.”

საღამოზე წარმოადგინეს ილია ჭავჭავაძის სცენა მომრიგებელ მოსამართლესთან, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილის” მეოთხე მოქმედება და ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა, ეს არის.” წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მსახიობი კოტე ყიფიანი, მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი და ადგილობრივი სცენის მოყვარეები.

წარმოდგენის ორგანიზატორებმა ქმწკგს გამგეობას გადასცეს 199 მანეთი და 53 კაპიკი. 1884 წლის 5 სექტემბერს გამგეობამ მოისმინა „ქადალდი სურამის პრისტავისა” სურამში გამართული წარმოდგენის შესახებ და დაადგინა წარმოდგენის „მონაწილეთ მართველობის მაგიერ მადლობა მოეწეროს და ეცნობოს, რომ ფული მიღებულ იქმნა და ჯეროვანის ნომრით ჩაწერილი იქმნა წიგნში.” დადგინებას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე.

იმავე წლის 25 სექტემბერს გაზეთი „დროება” წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამასწინათ სურამში გამართულს წარმოდგენიდამ მოგროვილი ფული, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას” უნდა გადასცემოდა, მოსვლია კიდეც ამ უკანასკნელს და ჩაწერილა შემოსავალი დავთარში.”

1885 წლის 15 ოქტომბრის გამგეობის სხდომას ოქმის მიხედვით 4 და 18 აგვისტოს სურამში გამართული წარმოდგენიდან მიუღია 265 მანეთი და 53 კაპიკი. წარმოდგენების ხელმძღვანელები ყოფილან ეკატერინე მუატი და ქაიხოსრო ხერხეულიძე, რომელთაც მადლობას უცხადებს გამგეობა. ამ შემთხვევაშიც სხდომის გადაწყვეტილებას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე.

გაზეთ „დროების” ცნობით, სურამში 18 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია–ცაგარელისა და კოტე ყიფიანი. წარმოუდგენიათ რ. ერისთავის ცნობილი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს.”

როგორც ჩანს, ამ დროს სურამში იმდენად ხშირად იმართებოდა წარმოდგენები ქმწკგს-ის სასარგებლოდ, რომ გაზეთი აღფრთოვანებული წერს: „სწორედ აღარა ხუმრობს სურამი და ნიშანს უგებს ბორჯომს, აბასთუმანს და სხვა საზაფხულო ადგილებს, რომლებიც ყურსაც არ იბერტყავენ ამ გვარ სასარგებლო საქმისთვის.”

საზოგადოების 1894-1896 წლების მუშაობის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გამგეობამ დახმარების სახით „ხაშურითგან იქ გამართულის საცეკვაო საღამოს შემოსავალი 50 მანეთი და 80 კაპიკი” მიიღო.

1889 წლის 8 აგვისტოს სურამში კვლავ გაიმართა წკგს-ის სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგინეს რუსულ ენაზე ვოდევილი ,ჟენა ნა პროკატ” და ა. ცაგარელის ცნობილი კომედია „ხანუმა”. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ნ.გაბუნია-ცაგარელისა და კ.ყიფიანი. წარმოდგენას ესწრებოდა პიესის ავტორი აქვსენტი ცაგარელი, რომელსაც საზოგადოება დიდი სიყვარულით შეხვედრია.

„ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო, ისე ბლომად, რომ ბევრი ისევ უკან დაბრუნებულიყო, რადგან დარბაზს ყველა მსურველი ვერ დაეტია. შემოსავალი ამისდა გვარად, იმედია კარგი უნდა იყოს”– წერდა გაზეთი „ივერია”.

12 აგვისტოს კ. ყიფიანის და გ. მაჩაბლის მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

ორივე – 8 და 12 აგვისტოს, – წარმოდგენიდან წკგს-ის გამგეობამ მიიღო 322 მანეთი..

24 აგვისტოს საზოგადოების გამგეობა გაზეთ „ივერიის” მეშვეობით მადლობას უცხადებდა მონაწილეებს: ნ. გაბუნია-ცაგარელს, მ. ძნელაძეს, ა. კაშტალოსკის, ე. რომანოვას, ს. ციციშვილს, ხერხეულიძეს, ზედგენიძეს, კლიუჩარევის, კ. ყიფიანს, გ. მაჩაბელს, ს. მგალობლიშვილს, თ. ციციშვილს და ა. ცაგარელს.

1890 წლის 21 თებერვალს ნ. ციციშვილს, ვ. ყიფიანს, ი. ფანიაშვილს, ნ. სიდამონიძეს და გელიკურაშვილს სურამში საზოგადოების სასარგებლოდ წარმოუდგენიათ ა. ცაგარელის კომედია „ბაიყუში”, რომელმაც „...ჩინებურად ჩაიარა” და მრავალი მაყურებელიც დასწრებია.

ასეთი და სხვა ხასიათის ღონისძიებები მომდევნო წლებშიც ხშირად იმართებოდა ხაშურის რეგიონში საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცალკე უნდა შევეხოთ ხაშურის საზოგადოების წარმომადგენელთა საქმიანობას ძველი ქართული ხელნაწერებითა და საისტორიო ნივთებით საზოგადოების მუზეუმისა და წიგნთსაცავის შევსების საკითხს.

1889 წელს საზოგადოების წიგნთსაცავისათვის ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელს მათე სუხიევს შეუწირავს შემდეგი ხელნაწერი წიგნები: “ქრონოგრაფია არჩილ მეფისა”, „ჟამნი”, „ლოცვანი” და „სადღესასწაულო” ერთ წიგნად და ვახტანგ VI-ის მიერ 1710 წელს დაბეჭდილი „ტიბიკონი”.

ცნობაში, რომელიც გამოქვეყნებულია იმავე წლის 12 სექტემბერს გაზ. „ივერიაში”, საზოგადოება მადლობას უხდის მ. სუხიევს ამ შეწირულობისათვის.

1893 წელს საზოგადოებას გადაეცა ს. წრომში ნაპოვნი გულზე სატარებელი ღვთისმშობლის ძველი პატარა ბრინჯაოს ხატი, რომელიც მინანქრით ყოფილა დაფარული.

თუ საზოგადოების გამგეობამ თავისი მოღვაწეობის მანძილზე ვერ შეძლო ხაშურის რაიონში საკუთარი სკოლის გახსნა, სულ სხვა სურათი გვაქვს საბიბლიოთეკო საქმიანობის თვალსაზრისით. არაერთი საარქივო დოკუმენტი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს საზოგადოების მიერ რაიონში ბიბლიოთეკების დაარსებისა და უკვე არსებული ბიბლიოთეკებისათვის გაწეული დიდი დახმარების შესახებ. თვალსაჩინოა ის დიდი ღვაწლი, რასაც საზოგადოების გამგეობა იჩენდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის რაიონში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს რაიონის საზოგადოების მოწინავე ნაწილის დამსახურება ამ საქმეში.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან უკვე საზოგადოების გამგეობა დიდ დახმარებას უწევდა რაიონში არსებულ ბიბლიოთეკებს.

საზოგადოების საარქივო ფონდში დაცულია ცნობილი ქართველი ფოტოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე როინაშვილის მიერ სურამის ბიბლიოთეკისათვის შეწირული წიგნების სია. ალ. როინაშვილი სურამში ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად. მას ბიბლიოთეკისთვის, გაზეთ „ივერიის” მიხედვით, წიგნები გადაუცია 1895 წლის ივლისსა და აგვისტოში. ალ. როინაშვილის ბიბლიოთეკისთვის სულ შეუწირავს 82 მანეთისა და 63 კაპიკის ღირებულების 150 ცალი წიგნი. აღნიშნული შეწირულობა მიუღია ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს, შემდგომში ცნობილ მეტყევეს მიხეილ მურვანიშვილს.

1896 წელს გამგეობამ საზოგადოების გამოცემული წიგნები და ჟურნალ „ჯეჯილის” 1890-1895 წლების ნომრები გაუგზავნა ს. ალის ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას.359 სხვა დოკუმენტიდან ჩანს, რომ გამგეობას ამ წელს ალის ბიბლიოთეკისათვის სულ გაუგზავნია 26 მანეთის ღირებულების წიგნები.

იმავე წელს საზოგადოებამ სურამის ბიბლიოთეკას 9 მანეთისა და 30 კაპიკის წიგნები გადასცა. იგივეს ჰქონდა ადგილი 1902 წელსაც.361 1910 წელს გამგეობამ კვლავ აღმოუჩინა დახმარება სურამის ბიბლიოთეკას 10 მანეთისა და 5 კაპიკის ღირებულების წიგნებით.

1912 წელს 13 მარტს გამგეობის გადაწყვეტილებით, ხაშურის ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას გაეგზავნა საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ საზოგადოება წიგნებით დახმარებას უწევდა რაიონში არსებულ სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლები უწყებრივად მას არ ეკუთვნოდა. 1906 წლის 23 ოქტომბრის გამგეობის გადაწყვეტილებით ალის სკოლას საზოგადოება ეხმარება სასწავლო წიგნებით. 1907 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი გამგეობა ალის გლეხობას უფასოდ უგზავნის ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან” 50 ეგზემპლიარს.

ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს გამგეობის მხრიდან გამოჩენილი ყურადღება იმ დიდი გულისტკივილის გამოხატულების დასტურად, რაც ქართველ ხალხში და კერძოდ კი ალის გლეხობაში გამოიწვია ილიას მკვლელობამ. ცნობილია, რომ ილიას დაკრძალვის პროცესზე ალის გლეხობისაგან გაგზავნილი იყო გვირგვინი პოეტისავე სიტყვების წარწერით: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი, ძლევამოსილი ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი, მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.”

სამგლოვიარო დეპეშებს შორის იყო აგრეთვე ალის საზოგადოებისაგან გაგზავნილი დეპეშაც.

1908 წელს საზოგადოება ს. ქვიშხეთში „სწავლებისთვის” ან. კლდიაშვილს უგზავნის წიგნებს. ამავე დროს თხოვს გამგეობას, წარმოუდგინოს „ანგარიში მეცადინეობის შესახებ.”

გარდა იმ ყურადღებისა, რასაც საზოგადოების გამგეობა იჩენდა რაიონში არსებული ბიბლიოთეკების მიმართ, XIXს-ის 10-იანი წლებიდან თავადაც იწყებს აქ თავისი ბიბლიოთეკების გახსნას. უკვე 1915 წლისთვის საზოგადოებას რაიონში გააჩნდა ექვსი ბიბლიოთეკა.

საზოგადოებამ ბიბლიოთეკები პირველად 1911 წელს გახსნა გომსა და სურამში. 1912 წელს ბიბლიოთეკები დაარსებული იქნა ხაშურსა და ალში, ხოლო 1915 წელს ბეკამსა და ქვიშხეთში.

გამგეობამ ხაშურში ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ საკითხი 1911 წლის 13 ოქტომბერს განიხილა. გამგეობის სხდომაზე აღინიშნა რომ „დაბა ხაშურში მცხოვრებნი (30 კაცი) თხოულობენ ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს გახსნას... შენახვას თვითონვე კისრულობენ. ბიბლიოთეკის გამგედ და მთავრობის წინაშე პასუხისმგებლად დაუსახელებიათ ადგილობრივი მემამულე მ.ნ. შურღაია.”

1912 წლის 26 თებერვალს შედგა ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა კრება, რომელმაც აირჩია სამზრუნველო გ. იოსელიანის, ტრ. ჯაფარიძის, ალ. ნაიტაკის, იას. ძნელაძისა და ივ. ტატიშვილის შემადგენლობით და დამტკიცება სთხოვა წკგს გამგეობას. ამავე დროს ბიბლიოთეკის გამგეობა (სამზრუნველო) თხოვს გამგეობას, ახლადდაარსებულ ბიბლიოთეკას გაუწიოს დახმარება თავის გამოცემებით.371

1913 წლის 13 მარტს საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცა ხაშურის ბიბლიოთეკის გამგეობის (სამზრუნველო) შემადგენლობა და მიიღო დადგენილება ბიბლიოთეკისათვის თავისი გამოცემების მიცემის შესახებ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რაიონში თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მათ შორის ბიბლიოთეკების მუშაობა შესუსტდა. იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაც. „აქ, (ხაშურში) არსებობს სამკითხველო, რომელიც ექვემდებარება ქმწკგს-ს. ამ საზოგადოების (იგულისხმება წკგს-ის ადგილობრივი ორგანიზაცია იხ. ქვემოთ) მოქმედების შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ის საღათის ძილს მისცემია და ჯერ კიდევ არ გამოუღვიძია. ვიტყვი მხოლოდ სამკითხველოს შესახებ. მეტად აუწერელ მდგომარეობაშია აქაური სამკითხველო, არავითარი ახალი წიგნი სამკითხველოში არ მოიძებნება და რაც ძველი ჰქონდათ, ისიც დაშლილი და დაუკაზმავი არის. გაზეთები მხოლოდ ერთი მოსდის „საქართველო”, რომელიც პატივცემულმა ლ. ცისკარიძემ გამოუწერა ერთი წლით. კიდევ „ხალხის თავისუფლება” და „ალიონი”, რომლის შესახებ გამგეობამ არც კი იცის, თუ ვინ გზავნის. აი ეს არის ჩვენი სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები. რუსული გაზეთებიდან მოდის ორი. სხვა გამოცემანი არც რუსული და არც ქართული ჟურნალ-გაზეთები აქ არ მოიპოვება. მკითხველთა რიცხვი ხუთიდან ათამდეა დღეში. ეს იმის ნიშანია, რომ სამკითხველოში არაფერია და ტყუილად, აბა, ვის რა უნდა შიგ. კედლებზედ შპალერი ჩამოგლეჯილი, სურათები დამტვრეული და რაღაც სამარცხვინოს წააგავს მისი მორთულობა.”

ბიბლიოთეკამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მთლიანად შეწყვიტა და მხოლოდ 1919 წლის 1 მარტიდან განაახლა მუშაობა. „სამკითხველო დაკეტილი იყო დღიდან რევოლუციისა ამ წლის (1919) მარტის პირველ რიცხვამდე” – ნათქვამია საზოგადოების ხაშურის განყოფილების გამგეობის წევრის ვ. ზაქარეიშვილის მიერ საზოგადოების გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში.

ამავე წერილში ისიც არის აღნიშნული, რომ „დღეს დღეულად სამკითხველოს გაზეთებს უწერს აქ არსებული ხაშურის სცენისმოყვარეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა.”

1919 წელს, როგორც ირკვევა, ბიბლიოთეკა ხაშურის თვითმართველობის მეურვეობაში გადასულა. იგივე ვ.ზაქარეიშვილი 1920 წლის 25 იანვარს წერდა: „... გადავწყვიტეთ, რომ სამკითხველო არ ყოფილიყო მუდმივ დაკეტილი, რითაც მოქალაქენი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, მიგვემართა ქალაქის თვითმმართველობისათვის თხოვნით, მიეღო სამკითხველო თავის მფარველობის ქვეშ მინამ პატრონი გამოუჩნდებოდეს. თხოვნა იქნა შეწყნარებული. დღეს სამკითხველო ღიათაა და მოსდის ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები.”

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21

სოფელ ნაბახტევში - თავად სოლომონ თარხანოვისა და მისი ძმების გლეხი 1. გოგია ფაფაკერაშვილი, მისი ვაჟები - აბელი და მიხ-ეილი . აბელს ჰყავს ცოლი, მათთან ერთად ცხოვრობს ბიძაშვილი, მას ჰყავს ცოლი, ვაჟი სოსია.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებენ 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი საქონელი 5 სული, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

2. ნინია გონგლაძე, მისი ცოლი, ვაჟები თევდორე და ------,5 ქალიშვილი

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ ხორბალს,,ჰყავთ რქოსანი საქონელი 5 სული, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

3. თამაზ ჯოჯიშვილი, ვაჟები სოსია და გიო, მათი ცოლები, ვაჟი ანდრო(?) გიოს ვაჟები: სიმონი, ლაზარე და საბა, ქალიშვილი.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღურ საბატონო მიწას, იღებენ 50 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

4. აზნაური მათე ცალქალამანიძე, მისი ცოლი, ძმები : ისაკი და დავითი, დავითის ცოლი და ქალიშვილი, მათეს დედა.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, საბატონო სახნავი მიწა 10 დღიური, იღებს 100 კოდ პურს. საზრდოობენ ხვნა-თესვით.

5. აზნაური ბასილ ჯაფარიძე, მისი ცოლი, ვაჟი იოსები, ქალიშვილები.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი , ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს,

ყავს 3 სული რქოსანი პირუტყვი, 1 ცხენი. თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

6. კიკოლა ცინცაბაძე, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, მისი ცოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქცს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას, იღებს 90 კოდ პურს, ყავს 1 სული რქოსანი პირუტყვი, თავს ირჩენენ ხვნა–-თესვითა და სხვა სამუ

შაოებით.

7. სიმონ დავითაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი სოსია, მასთან ერთად ოჯახში ცხოვრობს მისი ძმა კიკოლა და მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ცხრადღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 2 სული, თავს ირჩენენ ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

8. სიმონ ჯაჯანიძე, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, გერი, ევსტათი გასიტაშვილი. ეს ოთხსულიანი ოჯახი თავს ირჩენს ბატონის მოჯამაგირეობით.

9. გიორგი ჩუბინიძე, მისი ცოლი. ეს ორსულიანი ოჯახი თავს ირჩენს მოჯამაგირეობით.

10. სოსია მჭედლიშვილი. თავს ირჩენს ბატონთან მოჯამაგირეობით.

11. თომა მახნიაშვილი, მისი ცოლი, მამინაცვალი ვასილ დევსურაშვილი, მისი ცოლი.

ამ ოთხსულიანი ოჯახის უფროსი მსახურობს ბატონთან.

12 .იმერეთიდან გადმოსახლებული პაპუნა გოგატიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ზურაბი, მასთან ერთ ოჯახად მისი ძმა ნინია, მისი ცოლი და ქალიშვილი, დედა. ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს საბატონო ხუთდღიურ მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

13. ივანე სოლომონის ძე ბეგთაბეგოვის გლეხი - გოგია მეცხვარიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი იოსები(ვაყაში)?, 3 ქალიშვილი

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას, იღებს 80 კოდ პურს, თავს ირჩენს ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით.

14. ქალბატონ ანა ჩხეიძის გლეხი- ივანე კორკოტაძე, მისი ცოლი (იტრიაში), ვაჟები გრიგოლი და პაატა, მათთან ერთ ოჯახში მისი ძმები: საბა და შიო, მათ ჰყავთ დედა.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხნავს სხვების 8 დღიურ მიწას ღალაზე, იღებს 35 კოდ პურს. თავს ირჩენს ხვნა–თესვითა და სხვა სამუშაოებით.

15. თავად დავით ავალოვის გლეხი- ღვინია გიგიტაშვილი, მისი ცოლი (ქვიშხეთი), ვაჟი დავითი, ქალიშვილები.

ამ ხუთსულიან ოჯახს, აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, თავს ირჩენს ხვნა–თესვითა და სხვა სამუშაოებით.

შენიშვნა - 1. ეს სოფელი დასახლებულია მდინარე ჭერათხეულაზე. წყალი საკმარისია, მიწები ამ სოფელში, 500 დღიური სახნავი, რომელიც ეკუთვნის ივანე სოლომონის ძე ბეგთაბეგოვის ვაჟს, და ამდენივე დღიური თავად სოლომონ თარხანოვს, მწირი 300დღიური საერთოდ ეკუთვნის ამ ორ თავადს, საშუშე ტყე 600დღიური. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა ხვნა-თესვა და ნაწილობრივ მესაქონლეობა.

2. ადრე ამ სოფელში მცხოვრები გლეხებიდან მხოლოდ სოლომონ თარხანოვის კუთვნილები იხდიდნენ სურსათს, ისიც ყველა არა. სხვა ბატონების გლეხებს საერთოდ არ ჰქონდათ დაკისრებული გადასახადი. ახლა კი გადახდა შეუძლიათ თავად სოლომონ თარხანოვისებს, ორი აზნაურისა და 4 მოჯამაგირედ მყოფების გარდა - 6კომლს, 18 კოდი პური, 12კოდი ქერი, თავად ივანე ბეგთაბეგოვის შვილის 1 კომლს - 3 კოდი ხორბალი, 2 კოდი ქერი, თავად დავითაშვილის?(თუ დავით ავალოვის -დ.ხ.) და ქალბატონ ანა ჩხეიძის თითო კომლს-ამდენივე.

სოფელ აძვისში-1.თავად დავით ამირეჯიბის გლეხი - ოჰანეს გრიკ(გ?)ოლაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: როსტომი და-----,ქალიშვილები. ამ ეთნიკურად სომხურ , ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ირჩენს თავს მეწაღეობით.

2. საღოლაშენიდან გადმოსახლებული, აზნაურ იოთამ ლიპარტიშვილის გლეხი-

-გოგია კობახიძე, მისი ცოლი, ვაჟი - ქიტესა, ქალიშვილები. მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ანდრო, მისი ცოლი და ქალიშვილი.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს საეკლესიო ხუთდღიურ მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი-9 სული, ხვნა-თესვით აქვთ წლის სარჩო.

შენიშვნა-1.სარგებლობენ ყველა სიკეთით სხვა მცხოვრებლებთან ერთ დონეზე (ვინ, რომელ მცხოვრებლებთან, რა არის მხედველობაში არ არის მითითებული-დ.ხ.)

2. წინათ ეს გლეხები არავითარ გამოსაღებს არ იხდიდნენ, ახლა კი თავად დავით ამირეჯიბის ერთ კომლს უსახსრობის გამო გამოსაღების გადახდა არ შეუძლია, ხოლო აზნაურ იოთამ ლიპარტიშვილის ერთ კომლს, შეუძლია გადაიხადოს - ხორბალი -3 კოდი, ქერი-2კოდი.

სოფელ ვაყაში-კოლეგიის მდივნის თავად ივანე სოლომონის ძე ბეგთაბეგოვის გლეხები - 1.ბერი მაჭარაშვილი, მას ჰყავს ცოლი, ვაჟი თამაზი, ქალიშვილი, დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 10 სული, 1 ცხენი, 3 სკა ფუტკარი, ხვნა - თესვითა და სხვა საქმიანობით იღებენ საკმარის წლიურ შემოსავალს.

2. გიგოლა მაჭარაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი დავითი, მასთან ერთად ოჯახშია მისი ძმა ნინია. მათ ჰყავთ დედა.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ყავთ რქოსანი პირუტყვი 10 სული, 1 ცხენი, 3 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. ზურაბ ჩუბინაშვილი(?), მისი ცოლი, ვაჟი ივანე, ქალიშვილი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავს 10 სული რქოსანი პირუტყვი, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებიდან აქვთ წლიური სარჩო.

4. სოლომონ კაპანაძე. ამ ერთსულიან ოჯახს არ აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ საბატონო მიწას, იღებს 24 კოდ პურს, ყავს რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

5. ემალა? ჭიაბერაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი დავითი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია, მას ჰყავს ცოლი, ქალიშვილი, ძმებს ჰყავთ დედა. ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონე მიწას, იღებს 50 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

6. ივანე ხარშილაძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გოგია, მათი დედა. ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავს ორდღიურ საბატონე მიწას, იღებს 20 კოდ პურს, დროებითი სამუშაოებიდან იღებს სარჩოს.

7. ბერიკა ნადირაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია. ეს ორსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, ხნავს ოთხდღიურ საბატონე მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ყავს 5 სული რქოსანი პირუტყვი. ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით ირჩენს თავს.

8. სიმონ ხარშილაძე, მისი ცოლი, ვაჟი ზაქარია, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ბეჟანი და დავითი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, მწყემსავს საქონელს , რითიც ირჩენს თავს.

9. მელქო აკოფაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გრიგოლი, მისი ცოლი. ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 10 სული, 2 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საკმარის სარჩოს.

10. გიორგი ხითარიშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: თომა და ხაჩატური, ქალიშვილები. მასთან ერთ ოჯახად ცხოვრობენ მისი ძმები: მიხეილი და კარაპეტი, მიხეილის ცოლი, ვაჟი მინასი, ქალიშვილი, ძმების დედა. ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა.

ამ 12 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 20 დღიურ საბატონო მიწას, იღებს 200კოდ პურს, ჰყავთ რქოსანი პირუტყვი 30 სული, 3 ცხენი, 6 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

11. ოსეფ სარქისაშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი. ამ სამსულიანი ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა. აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებენ 30 კოდ პურს, ჰყავთ 7 სული რქოსანი პირუტყვი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ საზრდოს.

12. ოსკან სარქისაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ავაქი, სტეფანე და ელიზბარი, 3 ქალიშვილი. ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი. ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი(?), ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საზრდოს.

13. ოსეფ აკოფაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები აგაბეკი და დავითი, მასთან ერთად მის ოჯახში მისი ძმები პოღოსი და პეტრე, პოღოსის ცოლი. ოჯახის ყველა წევრი სომეხი ეროვნებისაა.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 15დღიურ საბატონო მიწას, იღებს 200კოდ პურს, ჰყავს 30 სული რქოსანი პირუტყვი, 2 ცხენი, 5 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

14. ბაღდასარ აკოფაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: სარქისი, მიკირტუმი და ნაზარი. ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავთ 4 სული რქოსანი პირუტყვი, 1 ცხენი. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

15. ნავსართ ანესოვი(სომხური სახელია - ნავასარდი-დ.ხ.), მისი ცოლი. ვაჟები: ერემია?, ოგანესი და არზუმანი. ამ ოჯახის ყველა წევრიც ეთნიკურად სომეხია.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, ჰყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს წლიურ სარჩოს.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ხაშურის ხედი თრიაღეთის ქედიდან

ბ. ნიქრიძის ფოტო

ფეხბურთი

„ივერიას“ შესანიშნავი ახალი თაობა ეზრდება

ფეხბურთში დაუწერელი კანონია: თუ გუნდი (კლუბი) მომავალზეა ორიენტირებული და წარმატებებისათვის იღვწის, პირველ რიგში, საკუთარი კადრების აღზრდაზე და დაოსტატებაზე უნდა ზრუნავდეს. ამის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია რაიმე მნიშვნელოვანზე ფიქრი. ხაშურის ფეხბურთის მესვეურებს ეს ყოველთვის კარგად ჰქონდათ გათავისებული და გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, რაიონის უპირველესი გუნდი მუდამ ივსებოდა ახალი თაობის პერსპექტიული და ტალანტი ფეხბურთელებით. ამიტომაც იყო, რომ ჩვენს „ივერიას“ მუდამ ეჭირა საკუთარი ნიშა საქართველოს ფეხბურთის რუკაზე და ქვეყნის მასშტაბით, ყოველთვის იყო ანგარიშგასაწევი ძალა.

სამწუხაროდ, 90-იანი წლების საშინელმა უბედურებამ, სხვა ათას პრობლემასთან ერთად, თაობათა შორის ერთგვარი „წყვეტა“ შექმნა და „ივერიის“ დღევანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი, სწორედ ეს გარემოება შეიქმნა. საბედნიეროდ, დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა და ჩვენი სასპორტო სკოლა ისეთ ბავშვებს ზრდის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ივერიის“ მომავალი აშკარად უკეთესობისაკენ წავა. ამის დასტური, თუნდაც 2007 წლიანები არიან, რომლებიც შესანიშნავი და პროფესიონალი მწვრთნელების - ვახტანგ ჯაფარაშვილის და მევლუდ ლომიძის ხელში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ და არცთუ შორსაა ის დრო, როცა ეს თაობა ბევრ სიხარულს მოუტანს ხაშურელ გულშემატკივრებს.

ეს ბავშვები, ამჟამად, იმერეთის ჩემპიონატში (ღია პირველობა) არიან ჩაბმულნი და პირველი წრის შემდეგ, ერთპიროვნულ ლიდერადაც გვევლინებიან. ამ ჩემპიონატში 21 გუნდი მონაწილეობს. ისინი სამ ქვეჯგუფში არიან გადანაწილებულნი. ჩვენები „ა“ ჯგუფში ასპარეზობენ და ცხრილიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად აღემატებიან სხვა გუნდებს. სექტემბერში მეორე წრე დაიწყება და I-II ადგილებზე გასული გუნდები - უკვე პლეი-ოფის სისტემით გამოავლენენ გამარჯვებულს. რა თქმა უნდა, მათი მიზანი ჩემპიონობაა და იმედია, ასეც იქნება. ახლა კი გაგაცნობთ ამ ბიჭებს, რომლებიც ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი იმედები არიან. ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): უკანა რიგში - ვახტანგ ჯაფარაშვილი (მწვრთნელი), ლუკა ჭავჭავაძე, მირზა ტაბატაძე, საბა თიბილური, ნიკა პაპიაშვილი, ლუკა პაპასკირი, გიგლა ლომიძე, დაჩი მაისურაძე, ლუკა დავითაძე, ლუკა ლურსმანაშვილი, მევლუდ ლომიძე (მწვრთნელი); წინა რიგში: ლუკა ნადირაშვილი, საბა ამირიძე, საბა ჩიტაძე, გოგა ლომუაშვილი, საბა ბარბაქაძე, შოთა კიკნაძე. გუნდში არიან აგრეთვე ალეკო კვინიკაძე, ნიკა მაზიაშვილი, გელა კანთელაშვილი, ლაშა კვერნაძე, ცოტნე ცხოვრებაშვილი, საბა ხარაიშვილი, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ ფოტოზე სხვადასხვა მიზეზის გამო არ არიან.

N	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გ.	მ.	±	ქ.
1.	„ივერია" ხაშური	10	7	1	2	26	6	20	22
2.	„შუქურა" ქობულეთი	10	5	1	4	14	17	-3	16
3.	„საპოვნელა" თერჯოლა	10	4	3	3	19	14	5	15
4.	„სამტრედია" სამტრედია	10	4	3	3	14	15	-1	15
5.	„ტორპედო 1" ქუთაისი	10	2	3	5	9	19	-10	9
6.	„მართვე" საჩხერე	10	2	1	7	10	21	-1	7

ჩვენ ძალიან გვეიმედება ამ ბიჭების. დაიმახსოვრეთ ეს სახელები და გარწმუნებთ, ამ თაობის ხელში „ივერია“ აუცილებლად გაბრწყინდება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.